

[



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ანგარიში
2016-2017 სასწავლო წელი

DO NOT COPY

თბილისი
2017

1.აკრედიტაციის პროცესი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

2016 წლის შემოდგომის სემესტრიდან დაიწყო მზადება 2017 წლისთვის ახალი საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენის და მომზადების პროცესი.

გამოცხადდა კონკურსები აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ქართული და ინგლისურენოვანი მედიცინის, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის, საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის, უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის, საერთაშორისო ბიზნესის სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამებისთვის.

კონკურსის შედეგად შერჩეული აკადემიური პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეუდგა ახალი პროგრამების შემუშავების პროცესს სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პროცედურების თანახმად. უნივერსიტეტის ყველა მოქმედი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის და მათ შორის ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“.

დაიგეგმა ქართული და ინგლისურენოვანი მედიცინის, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის, საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის, უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის, საერთაშორისო ბიზნესის სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამების შემუშავება ერთობლივად ახალ შერჩეულ პერსონალთან ერთად, ფაკულტეტის საბჭოებზე არჩეულ იქნა პროგრამების ხელმძღვანელები, ჩატარდა შიდა კვლევა და ასევე შესწავლილ იქნა შრომის ბაზარი მედიცინის, ფარმაციის, ბიზნესის ადმინისტრირების, თარგმანმცოდნეობის, საჯარო სამართლის და ქართული ენის მიმართულებით. გამოიკითხა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური და რეალური დამსაქმებლები, დაიდო მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან, გაფორმდა ხელშეკრულებები სხვადასხვა სამედიცინო და სააფთიაქო ორგანიზაციებთან, სამართლის და სათარჯიმნო ორგანიზაციებთან, ბიზნეს და სადაზღვეო კომპანიებთან და დაწესებულებებთან, მათ შორის:

1. სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრი
2. შპს ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი
3. შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ეროვნულ ცენტრი
4. შპს თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი
5. შპს ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტი
6. შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველ კლინიკური
7. შპს ახალი სამშობიარო ცენტრ
8. შპს ჯანმრთელობის ცენტრი
9. შპს ტრავმატოლოგი
10. შპს კლინიკა მედიკა და სხვ.
11. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
12. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
13. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
14. საქართველოს სახელმწიფო მოდერნიზაციის ინსტიტუტი

15. თბილისის მერიის ააიპ სამართლებრივი დამხარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალურ ცენტრი
16. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
17. ააიპ აისეკ საქართველო
18. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა
19. ინოვაციების განვითარების ფონდი
20. შ.პ.ს. ადვოკო კონსალტინგი
21. თბილისის სააპელაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლო საადვოკატო ბიურო OK & CG
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
23. ააიპ სოციალურ კულტურული განვითარების ცენტრი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
24. ააიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურ ცენტრი
25. სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისია და სხვ.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შეძენილ იქნა ახალი სამეცნიერო და სასწავლო ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, წიგნადი და ელექტრონული რესურსები, შეძენილ იქნა ძვირადღირებული ბიოქიმიური ლაბორატორია, ანატომის კაბინეტი, რომლებიც აღიჭურვა შესაბამისი მასალებით, მოეწყო იმიტირებული აფთიაქი და სხვ. პერსონალზე გადანაწილდა მათი კომპეტენციის შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების მომზადება. მოეწყო არა ერთი შეხვედრა ჯანდაცვის, სამართლის, ბიზნესის, ეკონომიკის და მართვის, ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე პროგრამების განხილვის კუთხით და საბოლოოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწონებული პროგრამები წარდგენილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ, რის შედეგად 2017 წლის 23 ივნისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 31-ე, 32-ე, 33-ე გადაწყვეტილებებით 3 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია **7 წლის ვადით:**

1)მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას

2)ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას

3)ქართული ენაში მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას.

ხოლო, მოგვიანებით წარდგენილი მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა შემოწმდა და შეფასდა უცხოელი და ქართველი ექსპერტების მიერ დამსაქმებლისა და მედიცინის პროგრამის სტუდენტის ჩართულობით ახალი სტანდარტების მიხედვით და ველოდებით აკრედიტაციის საბჭოს ჩანიშვნას და გადაწყვეტილებას. ასევე ველოდებით შედეგებს სამ სამაგისტრო პროგრამაზე: საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამა, საერთაშორისო ბიზნესის სამაგისტრო პროგრამა.

2) საერთაშორისო პარტნიორობა, გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო მობილობა.

2016 წელს ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ლიტველი პარტნიორი უნივერსიტეტის ლიტვის შიაულაის უნივერსიტეტის მეშვეობით და მხარდაჭერით კვლავ ჩაერთო ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტში-პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ERASMUS+-2016, რომლის შედეგად 2017 წლის მაისში ამ პროექტის ფარგლებში ლიტვის უნივერსიტეტიდან ჩამოსული იყო უცხოელი ლექტორი, რომელმაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს წაუკითხა ლექციები ინგლისურ ენაში.

3. სტუდენტის შეფასების სისტემაში მომხდარი ცვლილებები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ჯერ 2016 წლის 18 აგვისტოს ბრძანება №102/ნ , ხოლო 2016 წლის 18 აგვისტოს ბრძანება №102/ნ საფუძველზე შეიქმნა ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, რის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტმა ასევე შეიტანა ცვლილება არსებულ ნორმატიულ დოკუმენტში საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესები და მეორე რედაქციით დაამტკიცა თქვენი რექტორის 2017 წლის 18 იანვრის N10/01 ბრძანებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა არაერთი შეხვედრა ფაკულტეტებთან, სტუდენტებთან არსებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ჩატარდა ტრენინგები პროგრამების ხელმძღვანელებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რის შედეგად ყველა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები და მოდიფიცირებული პროგრამები განხილულ იქნა ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოებზე და დამტკიცებულ იქნა რექტორის ბრძანებით.

4. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმები და პროცედურები შემუშავებული რეკომენდაციები

2017 სასწავლო წლის სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების შესახებ

წინამდებარე ანგარიში ასახავს სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო კურსების შინაარსითა და ლექტორთა კომპეტენციით სტუდენტთა კმაყოფილების ხარისხის კვლევის შედეგებს, სასწავლო პროცესის მსვლელობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს ბაკალავრიატის

აკადემიური საფეხურისა და დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვაზე დაყრდნობით.

2017 წელს სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა ფარგლებში ჩატარებული სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის შედეგად შეფასდა სასწავლო კურსები და ამ კურსების წამყვანი ლექტორები. გამოკითხვა ჩატარდა თჰუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 მაისის №2/2013 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სხვადასხვა სახის სასწავლო კურსის კითხვარების მიხედვით (დანართი 7 /კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის/, შედგება 12 კითხვისგან და თითოეულ კითხვაზე იყო ერთ-ერთი პასუხი ამოსარჩევი; დანართი 9 /სასწავლო კურსის შეფასება/ შედგება 8 კითხვისგან და თითოეულ კითხვაზე იყო ერთ-ერთი პასუხი ამოსარჩევი; დანართი 10 /ლექტორის შეფასება/ შედგება 12 კითხვისგან და თითოეულ კითხვაზე იყო ერთ-ერთი პასუხი ამოსარჩევი; დანართი 11 /კითხვარი სტუდენტებისათვის/ შეფასება/ შედგება 12 კითხვისგან და თითოეულ კითხვაზე იყო ერთ-ერთი პასუხი ამოსარჩევი; დანართი 12 /კითხვარები დამსაქმებლისათვის/ შეფასება/ შედგება 10 კითხვისგან და თითოეულ კითხვაზე იყო ერთ-ერთი პასუხი ამოსარჩევი; გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურისა და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა. გამოკითხვა იყო ნებაყოფლობითი და ამიტომ არ ასახავს სტუდენტთა სრული შემადგენლობის განწყობასა და დამოკიდებულებას.

გამოკითხვის შედეგების შემაჯამებელი ზოგადი ანგარიშისთვის ვიხელმძღვანელებთ იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც კითხვარში იყო ასახული: კურსისა და ლექტორის შემფასებელ სტუდენტთა ჯამი. კითხვარი იძლეოდა სტუდენტის მიერ ვერბალური კომენტარების დატოვების საშუალებასაც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მიღებული შეფასება ინტერვალში დიახ - ჩაითვალა დადებითად, ინტერვალში არა-არადამაკმაყოფილებლად, ხოლო ინტერვალში ნაწილობრივ - პრობლემატურ, კრიტიკულ შეფასებად. რიგ შემთხვევებში, რაოდენობრივად ცოტა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ცალკეული კურსის შეფასებისას და შედეგები არ არის რეპრეზენტატიული. როგორც აღინიშნა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურის და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა, მათ შორის:

ფაკულტეტის დასახელება	გამოკითხულ რაოდენობა	სტუდენტთა
ეკონომიკისა, ბიზნესისა და მართვის	45	
სამართლის	43	
ჰუმანიტარული	35	
ჯანდაცვის	45	
საერთო ჯამი	168	

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისად დამუშავდა და ანალიზი გაკეთდა ფაკულტეტების მიხედვით:

ეკონომიკისა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი:

ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამებისთვის სასწავლო კურსითა და ლექტორთა კმაყოფილება გამოთქვა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ. შეფასებების მნიშვნელოვანი ნაწილი არის დადებითი პასუხის მატარებელი, იშვიათ შემთხვევებში ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით შეფასება ნაწილობრივი და არაა. თუმცა საერთო ჯამში სასწავლო კურსით გათვალისწინებული თეორიული ცოდნის მიღება და სასწავლო კურსის პრაქტიკული უნარების განვითარება მიღწეულ იქნა, „სასწავლო კურსის შინაარსი საინტერესო იყო“. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც კი ლექტორით საერთო კმაყოფილების დონე გამოიხატება დადებითი პასუხით. სტუდენტთა მიერ კომენტარები ნაკლებადაა გაკეთებული.

აღსანიშნავია, რომ შეფასებები გასაცნობად და რეაგირებისთვის ინდივიდუალურად გადაეცათ პროფესორ-მასწავლებლებს.

წარმოგიდგენთ, სტუდენტთა კომენტარების მიხედვით გამოვლენილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას:

- სტუდენტთა კომენტარების დიდი ნაწილის მიხედვით საჭიროა: სასწავლო ლიტერატურის გაუმჯობესება, რაც ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით გამოიხატება უახლესი მასალებით გამდიდრებული და გადამუშავებული ახალი სახელმძღვანელოების მომზადებით;
- სტუდენტთა ელექტრონული ბაზის შექმნა
- კომენტარების მიხედვით, საჭიროა მთელ რიგ სასწავლო კურსებში უფრო მრავალფეროვანი შეფასების მეთოდების გამოყენება.
- სტუდენტთა კომენტარების დიდი ნაწილის მიხედვით საჭიროა, სასწავლო პროგრამების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც პრაქტიკა, გახდეს უფრო მეტად ორგანიზებული, უფრო მრავალფეროვანი, ადექვატური, შინაარსიანი და პროფილის შესაბამისი;
- სტუდენტთა კომენტარებით, ცალკეულ საგნებში გამოცდების ორგანიზების საკითხები და შეფასების კრიტერიუმები დახვეწას საჭიროებს, ასევე, სურთ, გაიზარდოს ცალკეული სასწავლო კურსის საათები სამუშაო ჯგუფში და პრაქტიკულ მეცადინეობებისთვის.

DO NOT COPY

ჰუმანიტარული ფაკულტეტი:

ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამის გამოკითხულ სტუდენტთა 90%-მა სასწავლო კურსები და ლექტორები შეეფასა დადებითად 90 %-მა, ხოლო 10%-მა ნაწილობრივად შეაფასა.

კითხვარში მოცემული კომენტარები ხშირად ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა, ამასთან ერთსა და იმავე დროს ურთიერთსაპირისპირო შეფასებებს შეიცავდა, რაც დასკვნის განზოგადების საშუალებას არ იძლეოდა. თუმცა შეიძლება გამოიკვეთოს სტუდენტთა შემდეგი კომენტარები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით:

- ზოგიერთი ლექტორის ლექციაზე დაგვიანება და გაცდენა.
- სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს სურვილი გაიზარდოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სალექციო საათი, მაგალითად ინგლისური ენისთვის
- რიგი კურსების სტუდენტები უჩივიან კურსის ფარგლებში მიცემული მასალის სირთულეს და სიმრავლეს, მიიჩნევენ, რომ კურსი შინაარსით და სასწავლო მასალით სწავლების მოცემული საფეხურისთვის რთულად დასაძლევია და ითხოვენ მის გამარტივებას, მიიჩნევენ, რომ კურსის კრედიტით გათვალისწინებულ საათებში მისი დამლევა შეუძლებელია.

ჯანდაცვის ფაკულტეტი

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

შეფასების საშუალო მაჩვენებლის დიაპაზონმა პრაქტიკულად ყველა მიმართულების მიხედვით შეადგინა დადებითი შეფასება, პრობლემატური შეფასება (უარყოფითი და ნაწილობრივი) დაფიქსირდა მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში, რაც დასკვნის განზოგადების საფუძვლად არ იქნა მიჩნეული.

კითხვარში წარმოდგენილი კომენტარები ძირითადად ეხებოდა სასწავლო კურსების (განსაკუთრებით კლინიკური საგნების) ხანგრძლივობის გაზრდის მოთხოვნას და სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის გაზრდას და ასევე პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას. ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა ძალიან დაბალი აქტივობა.

ზოგადი კომენტარები

გამოკითხვის პროცესში ჯანდაცვის ფაკულტეტზე არ დაფიქსირდა არადამაკმაყოფილებელი და პრობლემური შეფასებები.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების დაბალი აქტივობის გამო, რიგ შემთხვევაში შედეგები არ არის რეპრეზენტატიული და შესაბამისად ვერ გაკეთდა ვალიდური დასკვნები.

სამართლის ფაკულტეტი

შემოდგომის სემესტრის დასრულების შემდეგ ჩატარებულ გამოკითხვაში, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსის და ლექტორთა შეფასებას, მონაწილეობა მიიღეს სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებმა.

სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის გამოკითხულ სტუდენტთა 85% სასწავლო საგნები და ლექტორები შეეფასა დადებითად, 13 % -მისცა ნაწილობრივ და ძალიან მცირე პროცენტმა 2 % -უარყოფითი.

კითხვარში მოცემული კომენტარები ხშირად ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა, ამასთან ერთსა და იმავე დროს ურთიერთსაპირისპირო შეფასებებს შეიცავდა, რაც დასკვნის განზოგადების საშუალებას არ იძლეოდა. თუმცა, შეიძლება გამოიკვეთოს სტუდენტთა შემდეგი კომენტარები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით:

- ინტერაქტიული ლექციების ჩატარება
- ლექციებზე პრაქტიკული მაგალითების განხილვა;
- განახლებული სახელმძღვანელოების გამოცემა;
- იმ სასწავლო კურსის სამუშაო ჯგუფების დატვირთვის გაზრდა, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 1 საათი;
- ერთ საგანში ყველა სამუშაო ჯგუფში ერთნაირი შეფასების სისტემის ქონა;
- ინტენსიური სასწავლო კურსის ხანგრძლივობის გაზრდა.

DO NOT COPY

გამოკითვის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები:

ზოგადი რეკომენდაციები:

- პროგრამის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარის გამომუშავება, რათა კიდევ უფრო ეფექტური და ხარისხიანი გახდეს სასწავლო პროცესი - იგულისხმება სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა;
- უშუალოდ სწავლების, ანუ ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარის გამომუშავება - იგულისხმება სტუდენტების მოტივირება, მოცემული საგნით მათი დაინტერესება, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება და სხვა;
- დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავება- საგნის ცოდნა, დარგობრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა, ინტერდისციპლინარული კურსის მართვის უნარი - იგულისხმება სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება

DO NOT COPY

DO NOT COPY